

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ხელმისაწვდომია ასევე ინგლისურად

გენმოდისცირებული ორგანიზმების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში

შესავალი

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და საფუძველი ჩაუყარა თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. ხელმოწერილი ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ კონკრეტულ ვადებში უზრუნველყოფს რეფორმებს სხვადასხვა სფეროებში. ბუნების დაცვის სფეროში იდენტიფიცირებული იქნა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვას, სახეობებით ვაჭრობას, გენმოდისცირებული ორგანიზმებისა და თევზჭერის პოლიტიკას ეხება.

ხელშეკრულების 55-ე მუხლის თანახმად, „საქართველომ უნდა განაგრძოს მისი სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო დონისძიებების, როგორც მოცემულია ამ შეთანხმების IV დანართში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, წინამდებარე შეთანხმების XI დანართში [აპროქსიმაციის] მოცემული პრინციპებისა და პროცედურების მიხედვით“. მეოთხე დანართი, მოითხოვს რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის აპროქსიმაცია გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან და მათ მარეგულირებელ კანონმდებლობასთან მიმართებაშიც.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ვინაიდან ბუნების დაცვის სფეროში შესასრულებელი მოთხოვნები, დაკავშირებულია როგორც გარემოს დაცვის შესახებ დანართის, ასევე DCFTA¹-ს ფარგლებში აღებულ ვალდებულებებთან. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება იყო გენმოდისცირებული ორგანიზმების კანონში ცვლილების შეტანა და მისი სრული თანხვედრა ევროკავშირის დირექტივებთან.

წინამდებარე ნარკვევში შევეცადეთ აგვესახა ის ცვლილებები, რაც განხორციელდა გენმოდისცირებული ორგანიზმების რეგულირების სფეროში 2015-2016 წლებში.

ფონური ინფორმაცია

2008 წელს საქართველომ შეუერთდა მონრეალის 2000 წლის 29 იანვრის „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმს“², რითაც თავის თავზე აიღო ცოცხალი გმო-ს სათანადო მარეგულირებელი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის ვალდებულება. ოქმთან მიერთებიდან ექვსი წლის შემდეგ, 2014 წელს, საქართველომ პარლამენტმა მიიღო კანონი „ცოცხალი გენმოდისცირებული ორგანიზმების შესახებ“. კანონის მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

¹ დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

² საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 26 სექტემბრის N305-III დადგენილება

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან წარმოებული სათესლე/სანერგე მასალისა და საკვები პროდუქტების ბრუნვა და აღნიშნული სახის პროდუქტები უკვე წლებია შემოდის საქართველოს ბაზარზეც.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (შემდგომში - გმო) გამოყენებას მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს; თუმცა დამტკიცებულია, რომ გმო-ს გამოყენებისას, არსებობს მათი ადამიანზე, ბუნებრივ გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზეგავლენის პოტენციური რისკი (საშიშროება). აქედან გამომდინარე, თანამედროვე ბიო-ტექნოლოგიის მეთოდებისა და მათ შედეგად მიღებული ორგანიზმების გამოყენებისას ბიოუსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით, მთელ რიგ ქვეყნებში და საერთაშორისო დონზე შემუშავდა გმო-ს ორგანიზმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები. თავის მხრივ, ამ სფეროში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები დაკავშირებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე (რიო დე ჟანეირო, 1992) მიღებულ კონვენციასთან „ბიომრავალფეროვნების შესახებ“, რომლის მიხედვითაც აღიარებული იქნა, რომ თანამედროვე ბიო-ტექნოლოგიით მიღებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები წარმოადგენენ ახალ საფრთხეს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის და რომ აუცილებელია, შეიქმნას სათანადო მარეგულირებელი სისტემები, რათა მინიმუმამდე იქნეს შემცირებული მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები.

არასაკმარისი მონაცემებისა და იმ ფაქტის გამო, რომ გმო-ს ფართოდ გამოყენება დროის შედარებით მოკლე პერიოდს მოიცავს, რაც არ იძლევა წლების მანძილზე მათ მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესწავლის შესაძლებლობას, არ არის გასაკვირი მის გამოყენებასთან არსებული სიფრთხილე. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა ევროგაერთიანების ქვეყნების კანონმდებლობაში და 2015 წლის 11 მარტს მიღებულ იქნა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს ახალი რეგულაცია - დირექტივა 2015/412/EU³, რომელიც უფლებას აძლევს წევრი ქვეყნების ხელისუფლებას, თავად განსაზღვრონ მათ ტერიტორიაზე გმო-ს კულტივაციის აკრძალვა/დაშვებისა ან/და მათზე შეზღუდვების დანესების წესები.

საქართველოში არსებული მარეგულირებელი გარემო

საქართველოს კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, ძირითადად, შემუშავებული იყო ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001/18/EC დირექტივის⁴, აგრეთვე ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის და 2003 წლის 22 სექტემბრის 1829/2003/EC⁵ და 1830/2003/EC⁶ დებულებების და სხვ. სამართლებრივი აქტების საფუძველზე. 2014 წელს, კანონის მიღებისას, კანონი შედგებოდა სამი კარის, 12 თავისა და 34 მუხლისაგან. ამჟამად, 2016 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კანონიდან ამოღებული იქნა ორი თავი და მთელი რიგი მუხლები.

კანონის ძირითად მიზანს, 2016 წლის 3 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ცოცხალი გმო-საგან თავისუფალ ზონად გამოცხადების უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს გმო-ს გარემოში ინტროდუქციის, საბაზრო ქსელში განთავსების, იმპორტის (გარდა მათი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტის შემთხვევისა) და რეექსპორტის აკრძალვას⁷.

³ Directive (EU) 2015/412 amending Directive 2001/18/EC as regards the possibility for the Member States to restrict or prohibit the cultivation of GMOs in their territory

⁴ Directive 2001/18/EC of the European Parliament and of the Council of 12 March 2001 on the deliberate release into the environment of genetically modified organisms and repealing Council Directive 90/220/EEC.

⁵ Regulation (EC) No 1829/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 on genetically modified food and feed.

⁶ Regulation (EC) No 1830/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 concerning the traceability and labelling of genetically modified organisms and the traceability of food and feed products produced from genetically modified organisms and amending Directive 2001/18/EC

⁷ კანონის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ 1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მე-4 მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;

კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ცოცხალ გმო-ზე და ის არ მოიცავს გენმოდირეცირებულ პროდუქტებს და იმ სამკურნალო საშუალებებს (ფარმაცევტულ პროდუქტებს), რომლებიც შეიძლება თავად წარმოადგენდნენ ან/და შეიცავდნენ გენმოდირეცირებულ ორგანიზმებსა და პროდუქტებს ან მათ ინგრედიენტებს.

კანონის მიხედვით, იქმნება ბიოუსაფრთხოების ერთიანი სახელმწიფო სისტემა, რომელიც წარმოადგენს ცოცხალ გმო-ებთან დაკავშირებული საქმიანობის აღრიცხვის, დაგეგმვის, კონტროლის, ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების ერთობლიობას და მოიცავს ცოცხალი გმო-ს გამოყენების რეგულირებას ჩაკეტილ სისტემებში გამოყენებისას და გარემოში ინტროდუქციისას⁸.

თავდაპირველად, კანონის ქვაკუთხედი იყო ის სამართლებრივი ნორმა, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება გმო-ს გარემოში ინტროდუქცია და დაიშვებოდა მხოლოდ მათი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება, რაც ნიშნავს „სამეცნიერო-კვლევითი ან ექსპერიმენტული მიზნით დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ფიზიკური სტრუქტურის საზღვრების ფარგლებში გენმოდირეცირებულ ორგანიზმზე ან გენმოდირეცირებულ ორგანიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაცია/მანიპულაცია (მისი მიღების, შენახვისა და ნარჩენის სახით განთავსების ჩათვლით), რაც მოითხოვს მისი გარემოსთან კონტაქტის ეფექტური შეზღუდვისა და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გენმოდირეცირების თავიდან აცილების უზრუნველყოფის სპეციალური პირობების დაცვას“⁹; კანონში 2016 წელს შეტანილმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გაამკაცრეს მოთხოვნები და პრაქტიკულად აკრძალეს ქვეყანაში გმო-ს იმპორტი.

მოქმედი კანონით, საქართველოს ტერიტორიაზე გენმოდირეცირებული ორგანიზმის გამოყენების რეგულირების კოორდინაციასა და საერთო ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. სამინისტრო ასევე პასუხისმგებელია ბიოუსაფრთხოების საშუაშვლო მექანიზმთან ურთიერთობაზე¹⁰. საქართველოს მთავრობა ადგენს გმო-სადმი ჩაკეტილ სისტემაში მოპყრობის სპეციალურ მოთხოვნებს¹¹.

კანონის III თავი არეგულირებს ცოცხალი გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებას. კანონის პირვანდელ ვარიანტში გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება კლასიფიცირებული იყო უსაფრთხოების ორი კლასის მიხედვით: უსაფრთხოების პირველი კლასი – როდესაც გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს ან დაკავშირებულია უმნიშვნელო დონის რისკთან; და უსაფრთხოების მეორე კლასი – როდესაც გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მაღალი დონის რისკთან¹²; კანონში 2016 წელს ცვლილებების შეტანის შემდგომ, აღნიშნული სამართლებრივი ნორმა ამოღებულ იქნა კანონიდან. კანონმდებლებმა ეს ცვლილება დაასაბუთეს იმ გარემოებით, რომ ყველა გმო თანაბრად სახიფათო და საზიანოა.

ამჟამად, გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის არსებობისას¹³, რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გასცემს განაცხადის

⁸ 2016 წლის 2 მარტის ცვლილებებამდე ასევე რეგულირდებოდა ცოცხალი გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსება, რომელიც ამ ცვლილებებით აიკრძალა.

⁹ კანონის „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-4 მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; ასევე, კანონის პირვანდელ ვერსიაში, კერძოდ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში დაფიქსირებული იყო საქართველოს მთავრობის უფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ნაწილში ნაწილობრივ ან სრულად აეკრძალა გმო-ს გამოყენება.

¹⁰ კანონის „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ 24-ე მუხლი

¹¹ კანონის „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-8 მუხლის 1 და მე-2 პუნქტები; კანონის პირვანდელ ვარიანტში სამინისტროს ასევე გააჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანად დასაშვები და საბაზრო ქსელში განსათავსებელი ან გადასამუშავებელი ცოცხალი გმო-ს რეესტრის წარმოების და ამ გმო-ს სამეცნიერო კომისიის შექმნის ვალდებულება, რომელიც ასახული იყო ამავე მუხლის ამოღებულ მე-3 და მე-4 პუნქტებში.

¹² კანონის „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-9 მუხლი 2016 წლის 2 მარტის ცვლილებებამდე

¹³ თავდაპირველ ვარიანტში გმო-ს გამოყენება ჩაკეტილ სისტემაში საჭიროებდა საქმიანობის ლიცენზიას, თუ ის კლასიფიცირდებოდა უსაფრთხოების მეორე კლასით. გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება, რომელიც ხასიათდებოდა უსაფრთხოების პირველი კლასით, არ საჭიროებდა ლიცენზიას და ხორციელდებოდა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში შეტყობინების შეტანის საფუძველზე.

წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში¹⁴. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია სამინისტროს, სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად, წარუდგინოს: მონაცემები ბიოლოგიური უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი პირის შესახებ, მონიტორინგის პროგრამა და ინფორმაცია კონტროლის მეთოდების შესახებ, გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების (რეაგირების) გეგმა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად და გასანეიტრალებლად და მკონტროლებელი ორგანოებისათვის პერიოდული ანგარიშების წარდგენის სქემა¹⁵. სამინისტრო ვალდებულია გამოაქვეყნოს ცოცხალი გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლების ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა აკრძალულია¹⁶.

ცოცხალი გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისას საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია დანიშნოს ბიოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც ახორციელებს სამუშაოების დაგეგმვას, წარმართვას და ზედამხედველობას. მათი უფლებამოსილებები რეგულირდება საწარმოს შინაგანანგისით¹⁷.

ვინაიდან, 2016 წლის 2 მარტის ცვლილებებით აიკრძალა ცოცხალი გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსება¹⁸, კანონიდან ამოღებულ იქნა მე-4 თავი, რომელიც ეხებოდა გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსების სამართლებრივ საფუძვლებს. თანახმად ამოღებული ნორმებისა, თუ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმი მიეკუთვნებოდა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებულ ცოცხალი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმთა სახეობას, მისი საბაზრო ქსელში განთავსება არ საჭიროებდა სპეციალურ ნებართვას/ლიცენზიას¹⁹.

კანონში ცვლილებების შეტანამდე, მე-19 მუხლში განწერილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე საბაზრო ქსელში განთავსების მიზნით დაურეგისტრირებელი ცოცხალი გმო-ს პირველადი შემოტანის პროცედურა: სამინისტროში შეტყობინების შეტანის წესი, სამინისტროს მიერ გმო-ს შემოტანაზე და ვადა (90 დღიდან 3 თვემდე), აგრეთვე გმო-ს სამეცნიერო კომისიის ვალდებულებები. მე-20 მუხლი ეხებოდა უსაფრთხოების ღონისძიებებს ცოცხალი გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსებისას. ამრიგად, კანონის თავდაპირველ ვარიანტში განწერილი იყო ორი პროცედურა გმო-ის პირველადი იმპორტისთვის, გამომდინარე მათი გამოყენების მიზნებიდან: „ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება“ და „საბაზრო ქსელში განთავსება“, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან პროცედურების სირთულითა და ხანგრძლიობით. საბაზრო ქსელში გმო-ს განთავსების აკრძალვის შედეგად მეორე პროცედურა გაუქმდა.

მოქმედი კანონის მე-5 თავით იკრძალება საქართველოს ტერიტორიაზე ცოცხალი გმო-ს იმპორტი (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული მისი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტის შემთხვევისა) და რეექსპორტი. ასევე, კანონის 22-ე მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, ერთი წლის განმავლობაში ერთ ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით დასაშვებია მხოლოდ 5 კგ ერთი და იმავე სახეობის ცოცხალი გმო-ს იმპორტი²⁰.

კანონის მე-6 თავში ჩამოყალიბებულია გმო-ს ტრანსპორტირების უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის შესაბამისობის აუცილებლობა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ნორმებთან.

¹⁴ კანონის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-7 და მე-12 მუხლების მე-3 და 1 პუნქტები.

¹⁵ კანონის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶ კანონის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტი.

¹⁷ კანონის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-15, მე-16, მე-17 მუხლები. ცვლილებებამდე პროექტის ხელმძღვანელი ინიშნებოდა მხოლოდ ჩაკეტილ სისტემაში უსაფრთხოების მეორე კლასით დახასიათებული გმო-ს გამოყენებისას.

¹⁸ კანონის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁹ კანონის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ მე-18 მუხლი (ამჟამად ამოღებული).

²⁰ გაუგებარია, რას ნიშნავს 5 კგ გმო იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ჩაკეტილ სისტემაში გენმოდიფიცირებული ხის, ბუჩქის, წყალმცენარის, ან თუნდაც მიკროორგანიზმის გამოყენება.

კანონის მე-7 თავში ჩამოყალიბებულია გმო-ს შესახებ არსებული ინფორმაციის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობის აუცილებლობა. ამავე თავში განხილულია გმო-ს ერთიანი რეესტრის წარმოების წესი. რეესტრს უნდა აწარმოებდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

კანონის მე-8 თავში ჩამოთვლილია გმო-ს სფეროში სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოები და მათი კომპეტენციები.

მე-9 თავი ეძღვნება ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ რეგულირებას. თანახმად 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა საქმიანობის განმახორციელებელს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია გმო-თი. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა „სახელმწიფოს სუბსიდიური პასუხისმგებლობის“ პრინციპის დადგენა. ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გმო-ს გამოყენებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას/შემცირებას, თუ ზიანის გამომწვევი პირის იდენტიფიცირება შეუძლებელია, ან თუ მოცემულ სიტუაციაში შეუძლებელია უარყოფითი შედეგების სხვაგვარად შემცირება ან თავიდან აცილება.

ქვემოთ, თვალსაჩინოებისთვის, ცხრილში წარმოდგენილია, თუ როგორ შეიცვალა კანონით რეგულირებული ძირითადი საკითხები 2016 წლის მარტში ცვლილებების შეტანის შედეგად.

შედარებითი ცხრილი

სამართლებრივი ნორმები	კანონი საწყისი სახით (2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით)	კანონი 2016 წლის ივლისის მდგომარეობით
კანონის მიზნები	ზოგადი მიზნები: გარემოსა და ადამიანის დაცვა, საფუძვლის შექმნა გმო-ს მცენიერული კვლევებისთვის, საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისთ.	საქართველოს ტერიტორიის ცოცხალი გმო-საგან თავისუფალ ზონად გამოცხადების უზრუნველყოფა,
კანონის მოქმედების სფერო	ყველა ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმი, გარდა ადამიანისა. გამონაკლისია სამკურნალო საშუალებები და გენმოდირეცირებული პროდუქტი	არ შეცვლილა
ტერმინთა განმარტებები		შემოვიდა თავისუფალ ზონად გამოცხადების ტერმინი
გმო-ს რეგულირების პრინციპები	რისკის შეფასების პრინციპი, რომლის საფუძველზეც ხდებოდა გმო-ს კლასიფიკაცია (უსაფრთხოების პირველი და მეორე კლასები) და იმ გმო-ს რეესტრის შედგენა, რომელთა შემოტანა და საბაზრო ქსელში განთავსება ან/და გადამუშავება დაიშვებოდა	გაუქმდა
გმო-სთან დაკავშირებული საქმიანობა	დაშვებული იყო გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება და საბაზრო ქსელში განთავსება. აკრძალული იყო გმო-ს გარემოში ინტროდუქცია	აიკრძალა საბაზრო ქსელში განთავსება

<p>საქმიანობის ლიცენზია</p>	<p>უსაფრთხოების პირველი კლასით კლასიფიცირებული გმო-ს გამოყენება ჩაკეტილ სისტემაში არ საჭიროებდა ლიცენზიას, არამედ შეტყობინების წარდგენას სამინისტროში. უსაფრთხოების მეორე კლასისთვის საქმიანობა ლიცენზირებადი იყო</p>	<p>გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება საჭიროებს ლიცენზიას</p>
<p>საქმიანობის ლიცენზიის გამცემი</p>	<p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p>	<p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p>
<p>ლიცენზიის გაცემის პროცედურა</p>	<p>ლიცენზიის გაცემის პროცედურის საკვანძო ერთეულს წარმოადგენდა გმო-ს სამეცნიერო კომისია, რომლის დასკვნა გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო გმო-ს გამოყენებაზე საბოლოო (თანხმობა ან უარი) გადაწყვეტილების მიღების პროცესში</p>	<p>პროცედურა გამარტივდა და სამეცნიერო კომისიის შექმნისა და მოვალეობა-პასუხისმგებლობის სამართლებრივი ნორმები გაუქმდა</p>
<p>გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსება</p>	<p>საბაზრო ქსელში დაიშვებოდა (ლიცენზიის გარეშე) საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებულ (რეესტრში შეტანილ-რეგისტრირებულ) სახეობას მიკუთვნებული გმო-ს განთავსება. გმო-ს დაშვებულ სახეობებს ამტკიცებდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი</p>	<p>გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსება აიკრძალა</p>
<p>გმო-ს ტრანსსაზღვრო გადაადგილება</p>	<p>ძირითადად კარტახენას ოქმით დადგენილი პროცედურის შესაბამისად</p>	<p>გმო-ს იმპორტი შეიზღუდა და დაიშვება მხოლოდ ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტის შემთხვევაში. ამასთან, ერთ ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისათვის 1 წლის განმავლობაში შესაძლებელია არა უმეტეს 5 კგ გმო-ს შემოტანა</p>
<p>გმო-ს იმპორტის ზოგადი წესი</p>	<p>გმო-ს იმპორტი ხორციელდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანხმობით გარკვეული პროცედურის გავლის შემდგომ</p>	<p>არ შეცვლილა</p>
<p>გმო-ს იმპორტი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით</p>	<p>ამ მიზნით იმპორტის განმახორციელებელს სამინისტროს თანხმობის მისაღებად გმო-ს პირველ ტრანსსაზღვრო გადაადგილებმდე უნდა მიღებული ჰქონდეს გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზია</p>	<p>არ შეცვლილა, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ამ მიზნით შესაძლებელია გმო-ს შემოტანა</p>
<p>გმო-ს რეექსპორტი და ტრანზიტი</p>	<p>ლიცენზია არ სჭირდებოდა და ხორციელდებოდა სამინისტროს წინასწარი შეტყობინებით</p>	<p>რეექსპორტი აიკრძალა, ტრანზიტისთვის დარჩა იგივე ნორმა</p>

<p>გმო-ს ერთიანი რეესტრის წარმოება</p>	<p>რეესტრს აწარმოებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსები სამინისტრო. რეესტრში აღირიცხებოდა გმო-ს გამოყენების შესახებ ინფორმაცია და იმ გმო-ს სახეობები, რომელთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა დაშვებული იყო საბაზრო წესელში განთავსების მიზნით</p>	<p>ნორმა შეიცვალა და რეესტრში აღირიცხება მხოლოდ ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებული გმო-ს შესახებ ინფორმაცია.</p>
---	--	--

დასკვნა

კანონი „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ ძირითადად თანხვედრაშია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივების და ევროგაერთიანების ქვეყნების სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან, განსაკუთრებით მისი პირვანდელი, ცვლილებების შეტანამდე ვარიანტი, სადაც ხაზგასმულია რისკების შეფასების მნიშვნელობა და აუცილებლობა. ასევე, თანხვედრაშია გმო-სთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზირების პროცედურები (გმო-ს სამეცნიერო კომისიის შექმნის ჩათვლით), მათი რეგისტრაციისა და რეესტრის წარმოების წესები. შეტანილმა ცვლილებებმა გაამკაცრეს კანონის მოთხოვნები.

ერთი შეხედვით, საქართველო, თითქოს, უფრო დაცულია გმო-ს გავრცელებისგან, თუმცა სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ძნელი დასაჯერებელია, რომ შესაძლებელია ქვეყნის სრულად დაცვა. ამასთან, შეუძლებელია გამოირიცხოს შესაძლო ავარიები გმო-ს ტრანსპორტირებისას, მეზობელი ქვეყნებიდან, სადაც კონტროლი ისეთივე სუსტია, როგორც საქართველოში; ასევე, მათი არალეგალური შემოტანა, ან მეზობელი ქვეყნების საზღვრისპირა რეგიონებში გმო-ს ნათესების არსებობის შემთხვევაში, გმო-ს გენეტიკური მასალის ბუნებრივად გადმოტანა საქართველოს ტერიტორიაზე და სხვ. შესაბამისი ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების გარეშე კი ძალიან გაგვიჭირდება ქვეყანაში გმო-ს გავრცელების კონტროლი და საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვა გმო-თი გამოწვეული შესაძლო უარყოფითი ეფექტებისგან.



ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი გამოიცა მწვანე ალტერნატივას პროექტის – „ევროინტეგრაციის გამონვევები უკეთესი გარემოსდაცვითი მმართველობისათვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ამ ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ და ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2016

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG